

THE NARRATIVE OF CAUCASIAN UNITY IN THE DRAMATIC SCENES OF CHILDREN'S STORIES

კავკასიური ერთობის ნარატივი საბავშვო მოთხრობის დრამატულ სიუჟეტში

Neli Champuridze

Doctor of Philological Sciences,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995577251270, nelichampuridze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-7280-5188>

Abstract. The idea of people's living together, cultural dialogue of different religious people and traditions, cooperation, striving for a peaceful and independent society to exist with high moral principles has always been the main aspiration of Georgian society. The work of Georgian thinkers of the nineteenth century was full with the idea of Caucasian people unity, for the revival, renewal and liberation of the nation, the thinking elite of Georgia had realized the vital necessity of Caucasian unity, a multi-ethnic and multi-religious country could not survive without respect of different ethnic groups, religions and friendship with them. Cultural cooperation and peaceful coexistence of people of religious belief and tradition is the main ideological supportive. Therefore, all mentioned above is the main ideological basis for building a democratic and successful country.

The 19th-century Georgian children's writer Jacob Gogebashvili's books have been popular and admired by both children and adults for decades. He was a teacher, publicist, author of "Mother Language" and "Nature's Door", the founder of a society for spreading literacy among Georgians.

Jakob Gogebashvili's story's "What did Lullaby do" dramatic part is one of the best examples of the peaceful coexistence of caucasian peoples, with a pedagogical point of view, as a basis in the formation of an ideology to build a democratic and successful country. Writing is an expression of the nation's soul, a teller and sharer of its sorrows.

Keywords: Humanism, Peaceful coexistence, Final song, Dramatic story, The narrative of Caucasian unity.

ნელი ჭამპურიძე

ფილოლოგიის მენიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400, საქართველო,
+995577251270, nelichampuridze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-7280-5188>

აბსტრაქტი. ხალხის ერთიანობის იდეა, სხვადასხვა რელიგიური შეხედულებისა და ტრადიციის ხალხის კულტურული დიალოგი, თანამშრომლობა, მშვიდობიანი და თავისუფალი საზოგადოების ძალისხმევა იარსებოს მაღალმორალური პრინციპებით ყოველთვის იყო ქართული საზოგადოებისთვის მთავრი მისწრაფება. კავკასიური ხალხის ერთიანობის იდეით იყო გამსჭვალული მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მოაზროვნეთა შემოქმედება, ერის აღორძინების, განახლების და გათავისუფლებისათვის საქართველოს მოაზროვნე ელიტას ოდითგან ჰქონდა გაცნობიერებული კავკასიური ერთიანობის

სასიცოცხლო აუცილებლობა, მულტიეთნიკური და მულტირელიგიური ქვეყანა განსხვავებულ ეთნოსთა და რელიგიათა მიმართ პატივისცემისა და მათთან მეგობრობის გარეშე ვერ გადარჩებოდა. სხვადასხვა რელიგიური შეხედულებისა და ტრადიციის ხალხის კულტურული თანამშრომლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა მთავარი იდეოლოგიური საყრდენია. ამიტომ სხვადასხვა რელიგიური შეხედულებისა და ტრადიციის ხალხის კულტურული თანამშრომლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა მთავარი იდეოლოგიური საყრდენია დემოკრატიული და წარმატებული ქვეყნის ასაშენებლად.

მე-19 საუკუნის ქართველი საბავშვო მწერლის იაკობ გოგებაშვილის საბავშვო ნაწარმოებები ათეული წლების მანძილზე დიდ მოწონებასა და აღტაცებას იწვევდნენ როგორც მოზარდებში, ასევე მოზრდილებშიც. იგი იყო პედაგოგი, პუბლიცისტი, “დედა ენისა” და “ბუნების კარის” ავტორი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამაარსებელი. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის „იავნანამ რა ჰქმნა“ დრამატული სიუჟეტი ერთი საუკეთესო მაგალითია კავკასიელ ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა, პედაგოგიური თვალსაზრისით, როგორც იდეოლოგიის ჩამოყალიბების საფუძველი დემოკრატიული და წარმატებული ქვეყნის ასაშენებლად. მწერლობა ხომ ერის სულის გამოხატულებაა, მისი ჭირ-ვარამის მთქმელი და გამზიარებელი. როგორც ჩვენი კლასიკოსები იტყოდნენ: „მწერლობა ძალაა, ერთი უმთავრესი იარაღთაგანია ერის წინსვლისა, მისი გონების და ცხოვრების გაუკეთესებისა... კარგი მწერალი ის არის, ვისაც უკეთ შეუგნია ეს საჭიროება და უკეთესად ემსახურება ამ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეს“.

საკვანძო სიტყვები: ჰუმანიზმი, მშვიდობიანი თანაცხოვრება, ბოლო სიმღერა, დრამატული ამბავი, კავკასიური ერთობის ნარატივი.

შესავალი. თავისუფლების იდეა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის უმთავრესი ღირებულებაა, რომელიც ქართველ 60 -იანელთა შემოქმედებაში მრავალმხრივ არის წარმოჩენილი. მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა ცარისტული რეჟიმის არსებობის პირობებში, ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მედროშედ გამოდიოდა, თანმიმდევრულად ცდილობდა შოვინიზმისაგან გამიჯვნას და ყველა ეთნოსის პატივისცემის დამკვიდრებას. (გელაშვილი, 2002) კავკასიური ხალხის ერთიანობის იდეის იყო გამსჭვალული მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მოაზროვნეთა შემოქმედება, განსაკუთრებით, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგისა. ეს იდეა დღესაც აქტუალურია და გულისხმობს სხვადასხვა რელიგიური შეხედულებისა და ტრადიციის ხალხის კულტურულ დიალოგს, თანამშრომლობასა და მშვიდობიან თანაარსებობას გლობალურ სივრცეში, რომელსაც კაცობრიობა წარმოადგენს. (ჯალიაშვილი, 2018) კავკასიის ერთიანობის იდეა კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული თერგდალეულებს, ილია წერდა „აჩრდილში“:

„როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ-არსებისა,

ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?

როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა

ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?“ (ჭავჭავაძე, 1985, გვ. 143)

იაკობ გოგებაშვილი, როგორც ჭეშმარიტი სამოციანელი პედაგოგიური ალლოთი და სწორი დიდაქტიკური, დამრიგებლური ტონით სავსე ნარატიულ თხზულებებს მატებს „თერგდალულთა“ მხატვრულ შედეგებს. 1890 წელს ცალკე გამოცემის სახით დაიბეჭდა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა: „იავნანამ რა ჰქმნა?!“, რომელიც მწერლის სიცოცხლეშივე ითარგმნა ფრანგულად. მოთხრობის გაცნობისთანავე რუს მწერლს და პედაგოგს ალექსი ოსტროვოროსკის ამ მოთხრობის გადათარგმნის სურვილი გამოუთქვამს.

რათა რუსულ მწერლობაშიც გამოჩენილიყო ქეთოს დრამატული თავგადასავალი და მშობლიური მიწის ძახილის განსაკუთრებული ძალა და მადლი, გამოჩენილიყო კავკასიური ერთიანობის რწმენაც. „დაე აღმფოთდნენ და გამწარდნენ შოვინისტურად განწყობილი მწერლები თუ პედაგოგები“, დაე მთავარ პროტესტადაც აღიქვან ამ მოთხრობის გამოქვეყნება რუსულ გამოცემაშიო აღნიშნავდა მწერალი. მწერალს მიზნად აქვს დასახული თავისი პატარა მოთხრობით პროპაგანდა გაუწიოს ერთიანი კავკასიის იდეას, რომელიც ასე სიცოცხლისუნარიანი და მნიშვნელოვანი იყოს მშვიდობიანი საქართველოს მომავლისათვის. მოთხრობაში გადმოცემულია პატარა ქეთოს ისტორია, რომელიც მშობლებისგან შორს გაიზარდა. მრავალი წლის შემდეგ, შინ დაბრუნებული გოგონა დედ-მამას ვეღარ სცნობს. მშობლები მას სწორედ დედის მიერ ნამდერმა „იავნანამ“ გაახსენა. გაუცხოებულ ერთადერთ ქალიშვილ მხოლოდ დედის "იავნანა" და-აბრუნებს წარსულში და მას მშობლიურ კერას, მშობლებს დაახლოებს. რადგან მოთხრობის სათაურია „იავნანამ რა ჰქმნა?“, ლოგიკურია, რომ ბოლო თავიც ის იყოს. თუკი პრობლემა გადაჭრილია, ქეთო დაბრუნებულია, რატომ არ წყდება თხრობა? დარჩენილია კიდევ ერთი მთავარი სათქმელი: მეგობრობა, რომელიც შეიძლება მტრობიდანაც დაიბადოს... ჯანსაღი ნაციონალიზმი, ჩასახული ყველაზე ბუნებრივ, დედობრივ წიაღში, ქალური ძალა და გამბედაობა, შემწყნარებლობა, მოთმინება ადადგენენ მოთხრობის ფინალში ყველაზე მნიშვნელოვან ჰარმონიას, ადამიანურ ურთიერთობებს, მიუხედავად პერსონაჟების სქესობრივი, ასაკობრივი და ეროვნული კუთვნილებისა. (ბეკიშვილი)

მეთოდები. მხატვრული ტექსტის ანალიზი ერთ-ერთ საშუალებად მოიაზრება, რომელიც მოიცავს ნაწარმოების თემის, იდეის, მთავარი სათქმელის, პრობლემატიკის ამოცნობას. პროზაული ლიტერატურული ნაწარმოების განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ნაწარმოების თემა და იდეა. მხატვრული ნაწარმოების ცალკეული ეპიზოდი გვეხმარება სხვა ეპიზოდებში ასახული მოვლენების ახსნასა და მთავარი იდეის გამოვლენაში მათი საშუალებით მხატვრულ ნაწარმოებში ასახული მოვლენები გვეხატება ერთმანეთთან კავშირ-ურთიერთობაში. ამ ჯაჭვში ერთი მოვლენა წარმოიშობა როგორც შედეგი სხვა მოვლენისა და ეს შედეგი თვითონ იქცევა სხვა, მისი მომდევნო მოვლენის მიზეზად. ლიტერატურულ ნაწარმოებში მოტივი, ჩვეულებრივ, ერთი ან რამდენიმე წინადადებისგან შედგება. მასში გამოხატულია ისეთი ხასიათის მოვლენები ან პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს მხატვრული ნაწარმოების შინაარსის განვითარებაზე, მოქმედ პირთა ურთიერთობაზე და, საერთოდ, მათ განწყობილებაზე, მოქმედების გეგმაზე და სხვ. მოტივები ნაწარმოებში გამოხატულ მოვლენებს ერთიმეორესთან მიზეზობრივად აკავშირებენ. ლიტერატურის ბუნება და ფუნქცია ნებისმიერ ლოგიკურად გამართულ დისკურსში ურთიერთშესაბამისი უნდა იყოს. პოეზიის ფუნქცია მისი ბუნებიდან გამომდინარეობს. ნებისმიერი საგანი ან საგანთა კლასი ყველაზე ეფექტიანად და გონივრულად სწორდ მაშინ გამოიყენება, როდესაც გათვალისწინებულია მისი ბუნება ან ძირითადი დამახასიათებელი თავისებურება. ნებისმიერ ლიტერატურულ ნაწარმოებში შეიძლება იყოს ბევრი ისეთი რამ, რაც მისი ლიტერატურული ფუნქციისთვის არ არის არსებითი - აღნიშნავს ლიტერატურის თეორეტიკოსი უელეკი. თუმცა საინტერესო სხვა თვალსაზრისიც. ლიტერატურულ ნაწარმოებში, რომელიც სრულად შეესაბამება თავის ფუნქციას, სასიამოვნო და სასარგებლო უბრალოდ კი არ თანაარსებობენ, არამედ ერთმანეთს ერწყმიან. (უელეკი & უორენი, 2010, გვ. 41-38)

თემაზე მუშაობისას გამოვიყენეთ კვლევის თანამედროვე მეთოდები: თვისობრივი კვლევა, რომელიც გულისხმობს აკადემიური თუ პროფესიული ლიტერატურის განხილვას, ასევე, ანალიტიკური, ჰერმენევტიკული, მულტიდისციპლინური კვლევის

მეთოდები, რომელთა საფუძველზე გამოიკვეთა, ერთი მხრივ ლიტერატურის, როგორც იდეოლოგიის ჩამოყალიბების მნიშვნელობა და მორე მხრივ ქართველ განმანათლებელთა სწრაფვა ამ იდეოლოგიის დასამკვიდრებლად.

შედეგები და მსჯელობა. ქართველი საბავშვო მწერალის იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა?!“ გადმოცემულია საქართველოს ერთი ნასოფლარის, სოფელ ვაშლოვანის ამბავი. როგორც მწერლის ბიოგრაფიიდან ირკვევა, აღნიშნული მოთხრობა დაწერა ქართლის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში კავთისხევში, სოფლის ისტორიულმა წარსულმა თუ ამ სოფლის გლეხკაცობასთან საუბარმა სიუჟეტური მასალა მოუშადა მის მეტად გახმაურებულ მოთხრობას „იავნანამ რა ჰქმნა?!“ კავთისხევს ხშირად თავს ესხმოდნენ და აოხრებდნენ დაღესტნელი ფეოდალები, ამიტომ მას ხალხში შავსოფელსაც ეძახდნენ. სოფელი ვაშლოვანი ხშირად გამხდარა ლეკთა თარეშის ადგილი. მწერალი მოგვითხრობს სოფელ ვაშლოვანში ტკბილად მცხოვრები ცოლ-ქმრის, ზურაბისა და მაგდანის ოჯახის განსაცდელის შესახებ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ჰყავდა ერთადერთი შვილი ქეთო. სიკეთისა და სათნოებასთან ერთად მათ სიმღერის ნიჭიც გააჩნდათ. მაგდანს ჰქონდა საოცარი ხმა და მთელ იმ მხარეში განთქმული იყო თავისი მშვენიერი სიმღერით. სამი წლის ქეთოს ძლიერ უყვარდა დედის სიმღერა, ხშირად ამღერებდა და სულგანაბული უგდებდა ყურს. ამ პერიოდში ლეკები თარეშობდნენ, არბევდნენ სოფლებს, წვაგდნენ ყანებს და იტაცებდნენ ადამიანებს. ლეკების თარეშმა არ დაინდო ზურაბის ოჯახიც. ლეკებმა გაიტაცეს სამი წლის ქეთო, გამდიდრების წყაროდ გამოიყენეს, ლეკებშიც მოიძებნა კეთილი და ვაჟკაცი ადამიანები და სწორედ მათ ხელში ჩავარდა მოტაცებული ქეთო. „მზრუნველი ადამიანების ხელში სამი წლის ქეთო მალე ივიწყებს წარსულს. ნაიბისა და მისი ცოლის მზრუნველობამ, მათმა უსაზღვრო სიყვარულმა მალე დაავიწყა ქეთოს ყველაფერი წინანდელი. ქეთო თანდათან ლეკ ქალად გადაიქცა. გავიდა ათი წელიწადი. ამ ხნის მანძილზე ქეთოს მშობლებს, რომელთა თვალებს ცრემლი არ შეშრობია შვილის დაკარგვის შემდეგ, ცდა არ დაუკლიათ ბავშვის მოსაძებნად და გამოსახსნელად. დიდი ცდის შემდეგ ზურაბი იტაცებს საკუთარ შვილს, რომელიც ბედმა (თუ სამშობლოს უბედობამ) დაღესტნის შვილად აქცია. მშობლებს უხარიათ შვილის დაბრუნება, მაგრამ სიხარული ნაადრევია - ქეთო ვერ შეიცნობს ნამდვილ მშობლებს, მასში ხომ წარსული მივიწყებულია და ღრმად არის მიმალული სულის სიღრმეში. ქეთო იტანჯება და მშობლიურ გარემოს უცხოდ მიიჩნევს. მის მწუხარებას საზღვარი არა აქვს. მასთან ერთად იტანჯებიან მისი მშობლებიც, რომლებმაც ჯერაც არ იციან, რა გზას დაადგნენ. მათ ყველაფერი იღონეს, რათა ქეთოსათვის გაეხსენებინათ საკუთარი მშობლიური კერა. ხალხური „იავნანა“ ადამიანის სულში აღბეჭდილი ბავშვობაა და მისი ძალისა და ზემოქმედების შესაძლებლობები მართლაც ამოუცნობია. და აი, რა ჰქმნა „იავნანამ“ - მაგდანის მიერ დამღერებულმა ნანინამ. სევდაჩამდგარი მაგდანი მისდაუნებურად იწყებს „იავნანას გალობას. მაგდანის მიერ „იავნანის“ თქმა. რომელმაც უდიდესი ძალით იმოქმედა მის ბავშვის ცნობიერებაზე. ფოლკლორული სიმღერა, როგორც ეროვნული გრძნობის ჩანასახი, ამოტივტივდა ქეთოს ცნობიერებაში და ისეთი სიხარული მოუტანა, „რომელსაც ქრისტეს დროს გამოვივლიდნენ ხოლმე ისინი, ვისაც მაცხოვარი მომაკვდავს მოურჩენდა, ან მკვდარს აღუდგენდა“ (გოგებაშვილი, „იავნანამ რა ჰქმნა?!“). საბავშვო სიმღერის ძლიერი გავლენით მოაგონდა ქეთოს ბავშვობა. დედის გახსენებასთან ერთად გაიხსენა მშობლიური ენა. საბავშვო სიმღერამ „იავნანა“, რომელიც ყველაზე უფრო ღრმად ჰქონდა ქეთოს ძვალსა და რბილში გამჯდარი. „სამშობლოს ხმამ“, სწორედ დედაენაზე ნამღერმა სიმღერამ მოახდინა სასწაული, გაახსენა ბავშვობა და მშობლები. მწერალი მოთხრობაში გვიჩვენებს საკუთარ ოჯახში დაბრუნებული ბავშვის მომავალ ცხოვრებას, სადაც კარგად ჩანს დამეგობრებული მუსლიმი და ქრისტიანო ოჯახის კეთილგანწყობა და მჭიდრო

ურთიერთობა. ქეთოს ერთნაირი სიძლიერით უყვარს როგორც ლევები, ისე ქართველები. ქეთო განსაკუთრებით მაშინ არის ბედნიერი, როდესაც ლევ და ქართველ მშობლებს ერთად ხედავს. ბავშვის სულში სიყვარულის დიდმა გრძნობამ დაამეგობრა ქართველი და ლევი ხალხი. „ყველას შეხპაროდა და ყველას უყვარდა ქეთო, რომელიც ერთსა და იმავე დროს სტკბებოდა თავისი სიყვარულით მოყვასისადმი და მოყვასთა სიყვარულით თავისადმი. უკეთესი ბედნიერება განა იქნება ქვეყანაზე?“ (გოგებაშვილი, 2010, გვ. 331) სწორედ ამის ჩვენება იყო მწერლის მიზანი, რათა „სამშობლოს ხმის“ სასწაულის ფონზე ეჩვენებინა სრულყოფილი, ადამიანის მოყვარული გული, როგორც წყარო ადამიანთა ბედნიერებისა. ამაშია სწორედ ქეთოს ბედნიერება. „ბრძენნი ამბობენ და ამბობენ, საუკეთესო წყარო ადამიანის ბედნიერებისათვის მოსიყვარულე გულიაო... სიმდიდრე შეიძლება ადვილად დაჰკარგოს ადამიანმა, სიმდიდრესა და სილამაზესაც მოაკლდეს,... მაგრამ მოსიყვარულე გული კი ათბობს მის სიცოცხლეს თვით სამარის კარამდისო“ - (გოგებაშვილი, 2010, გვ. 330) - ასეთი დიდაქტიკური ფრაზით ასრულებს მწერალი თავის მოთხრობას „ივნანამ რა ჰქმნა“. იაკობ გოგებაშვილიც ქართული და ლეკური ოჯახების ურთიერთობას გადმოცემას იმ მტული განწყობით იწყებს, რომელიც ამ პერიოდში გამოიკვეთა და მაინც სრულიად ბუნებრივად მიყავს მკითხველი ჰარმონიული, ადამიანური ურთიერთობების შეგნებამდე. შემწყნარებლობას სხვადასხვა რელიგიების, ეროვნებების მიმართ იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტიკაშიც ვხვდებით. ერთგან წერს, „ქართველებს, მიუხედავად ბევრი მათი ხარვეზისა, ერთი იშვიათი თვისება მოსდგამთ: რასობრივი განსაკუთრებულობის, შთამომავლობითი უპირატესობების არ არსებობა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისადმი უდავო პატივისცემა.“ (გოგებაშვილი, 1989, გვ. 234) იაკობ გოგებაშვილის ამ მოსაზრებების ლოგიკური ფინალი იყო მისი ანდერძიც, სადაც სხვა მრავალთან ერთად თავისი ჰონორარებით დაგროვილი ქონება საქართველოში მოქმედ სხვადასხვა ეროვნების საზოგადოებებსაც დაუტოვა. თავისთავად ცხადია, მას ესმოდა ქვეყნისთვის ამ საზოგადოებების განვითარების მნიშვნელობა. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „ივნანამ რა ჰქმნა?“ დიდაქტიკური ხასიათისაა. მწერალი ნაწარმოებში ჩართული დიდაქტიკური შეგონებებით აღიზარდის უპირველეს მიზანად მოზარდებში მეგობრობისა და ჰუმანიზმის გრძნობის ჩამოყალიბებას მიიჩნევს.

დასკვნა. იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრებას, მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებს და საბავშვო ნაწარმოებებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის საკვანძო კომპეტენციის (მულტილინგვური წიგნიერება, კულტურული ცნობიერება და თვითგამოხატვა) მიმართულებით გამართულ ინტერკულტურულ დიალოგში თავის გამორჩეულ ადგილს იკავებს ქართველი განმანათლებლის საგანმანათლებლო იდეები. 2006 წლის ნოემბერში ევროპის საბჭომ შემდეგი დეფინიცია შემოგვთავაზა: ინტერკულტურული დიალოგი არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელ ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის შეხედულებათა ღია, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გაცვლას, რასაც განსხვავებული მსოფლმხედველობისა და პრაქტიკის სიღრმისეულ გააზრებამდე მიყვავართ. განსხვავებული კულტურების წარმომადგენელთა მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებელი წინაპირობა ინტერკულტურული დიალოგია. მისი საყოველთაოდ გაზიარებული განსაზღვრება არ არსებობს. „იუნესკოს უნივერსალურ დეკლარაციაში კულტურული მრავალფეროვნების შესახებ“ აღნიშნულია, რომ კულტურულად „მრავალფეროვან საზოგადოებებში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს განსხვავებული, ცვალებადი და დინამიური იდენტობების მქონე ხალხებსა და ჯგუფებს შორის ჰარმონიული ურთიერთქმედებისა და მათი თანაცხოვრების უზრუნველყოფას“ („იუნესკოს უნივერსალურ დეკლარაცია კულტურული მრავალფეროვნების შესახებ“ მუხლი 2). საქართველოში დღეს არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების

გათვალისწინებით, მნიშვნელობას არ კარგავს ინტერკულტურული ცნობიერების, კულტურათა ურთიერთმიმდებლობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ფსიქოლოგიურ საფუძველების შექმნა, კერძოდ კი, ინტერკულტურული მგრძობიანობის (სენსიტიურობის) დონის ამღლების საკითხი. სწორედ ინტერკულტურული ცნობიერების-მულტილინგვისტური წიგნიერების კომპეტენციების ჩამოყალიბების ემსახურება იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობის „იავნანამ რა ჰქმნა?“ თემატური იდეა.

კავკასიური მშვიდობის დამყარებისათვის გამიზნული საბავშვო მოთხრობის ნარატიული სიუჟეტი დღესაც საუკეთესო საკითხავია ყველა ასაკის მკითხველთათვის. უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიური ერთობის იდეა, სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა არსებული გლობალური პოლიტიკური ვითარების ფონზე. XX საუკუნის განმავლობაში ამ ერთიანი კავკასიის იდეის მიზანი იყო კონფლიქტური მეხსიერების დაძლევა და, ამის საფუძველზე კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისაკენ სწრაფვა. ჯერჯერობით, ერთიანი კავკასიის ნარატივის შექმნა მიუღწევად ამოცანად რჩება, თვით ერთიანი კავკასიის იდეა კი - ე. წ. „სასარგებლომითად“, (Becker, 1932:231) თუმცა, მე-19 საუკუნის ქართველი საბავშვო მწერლის, იაკობ გოგებაშვილის საკაცობრიო ჰუმანიზმით გაჟღერებული შემოქმედება, დღესაც კვებავს ქართულ ცნობიერებას კავკასიური ერთიანობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების იდეით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბექიშვილი, თ. (თ. გ.). *იაკობ გოგებაშვილი თანამედროვე პერსპექტივიდან*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619730&kat=348>
- გელაშვილი, ნ. (2002). *საქართველოს კავკასიური პოლიტიკა*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://caucasianhouse.ge/sakartvelos-kavkasiuri-politika>
- გოგებაშვილი, ი. (1989). *რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად* (ტ. I). თბილისი.
- გოგებაშვილი, ი. (2010). *საღმრთო ისტორია. ისტორიული მოთხრობები*. თბილისი.
- უელეკი, რ., & უორენი, ო. (2010). *ლიტერატურის თეორია*. თბილისი.
- ჩიქოვანი, ნ. (2008). *ერთიანი კავკასიის ნარატივი: კავკასიის ხალხთა კულტურულ-ისტორიული განვითარების პრობლემები*. თბილისი.
- ჩხეიძე, რ. (2007). *ბურჯი ეროვნებისა*. თბილისი.
- ჭავჭავაძე, ი. (1985). *რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად* (ტ. I). თბილისი.
- ჯალიაშვილი, მ. (2018). *აკაკი წერეთელი და შამილი*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://mastsavlebeli.ge/?p=17506>
- Becker, C. (1932). Everyman His Own Historian. *American Historical Review* (37).

REFERENCES:

- bekishvili, t. (n. d.). *iak'ob gogebashvili tanamedrove p'ersp'ekt'ividan [Iakob Gogebashvili from a modern perspective]*. Retrieved from <http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619730&kat=348>
- gelashvili, n. (2002). *sakartvelos k'avk'asiuri p'olit'ik'a [Caucasus Policy of Georgia]*. Retrieved from <https://caucasianhouse.ge/sakartvelos-kavkasiuri-politika>
- gogebashvili, i. (1989). *rcheuli tkhzulebani khut t'omad [Selected Essays Five Volumes]*. I. Tbilisi.
- gogebashvili, i. (2010). *saghmrt'o ist'oria. ist'oriuli motkhrobbi [Divine History. Historical Stories]*. Tbilisi.
- uelek'i, r., & uoreni, o. (2010). *lit'erat'uris teoria [Theory of Literature]*. Tbilisi.

- chikovani, n. (2008). *ertiani k'avk'asiis narat'ivi: k'avk'asiis khalkhta k'ult'urul-ist'oriuli ganvitarebis p'roblemebi* [Narrative of the United Caucasus. Problems of cultural-historical]. Tbilisi.
- chkheidze, r. (2007). *burji erovnebisa* [The Tower of Nationality]. Tbilisi.
- ch'avch'avadze, i. (1985). *rcheuli nats'armoebebi khut t'omad* [Selected Essays Five Volumes]. I. Tbilisi.
- jaliashvili, m. (2018). *ak'ak'i ts'ereteli da shamili* [Akaki Tsereteli and Shamil]. Retrieved from <http://mastsavlebeli.ge/?p=17506>
- Becker, C. (1932). Everyman His Own Historian. *American Historical Review* (37).